**საინფორმაციო შეხვედრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დაწესებულებების წარმომადგენლებთან**

ცესკოს სწავლების ცენტრმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დაწესებულებების წარმომადგენლებთან საინფორმაციო შეხვედრა გამართა.

შეხვედრა მიზნად ისახავდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი ამომრჩევლების მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველყოფისა და მათი საყოველთაო საარჩევნო უფლების რეალიზების ხელშეწყობისთვის საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განსახორციელებელი აქტივობების შესახებ მონაწილეთა ინფორმირებას.

ღონისძიების ფარგლებში აქცენტები გაკეთდა პენიტენციურ დაწესებულებებში საარჩევნო პროცესების ორგანიზების საკითხზე, მათ შორის კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებზე და მათ უფლებრივ მდგომარეობაზე, ასევე ამომრჩევლებისთვის ხმის მიცემის პროცესში ეპიდემიოლოგიური პროტოკოლის დაცვით მომსახურების უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულ ღონისძიებებზე.

საინფორმაციო შეხვედრა 28 სექტემბერს დისტანციურ ფორმატში გაიმართა და მასში მონაწილეობა სპეციალური პენიტენციური სამსახურის 10 პენიტენციური დაწესებულებების 11 წარმომადგენელმა მიიღო.